

კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე

ნათია კუცია

თამარ ავლოხაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თენგიზ ვერულავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინაპირობა: სტატიის თემატიკას წარმოადგენს ჯანდაცვის სექტორში კონკურენციის განვითარების ტენდენციების კვლევა, მისი ძირითადი თავისებურებების გამოვლენა.

მეთოდოლოგია: დასმული ამოცანების გადასაჭრელად შესწავლილ იქნა მეორეული თეორიული მასალა, სხვადასხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და პუბლიკაციები, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები.

შედეგები: აღნიშნულის შესწავლამ საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა სურათი: საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები სულ უფრო სცილდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებს რომლის მთავარი მიზანს წარმოადგენდა კონკურენტული სადაზღვევო მოდელის დანერგვა.

დასკვნა: საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები უნდა ეხმიანებოდეს ევროპის ქვეყნების უახლოეს გამოცდილებას, რომლის უმთავრესი მიზანია კონკურენტული სადაზღვევო მოდელის დანერგვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაზღვევა, კონკურენტული დაზღვევა

მადლობა

ზემოაღნიშნული ნაშრომის მომზადების პროცესში მუდმივ კონსულტაციას მიწევდა, ნაშრომის ხელმძღვანელი ბატონი, თენგიზ ვერულავა. ის მუდმივად იყო საქმის კურსში, მაძლევდა შენიშვნებს, მიმართულებას, მითითებდა ლიტერატურას, ასევე დამეხმარა ექსპერტებთან დაკავშირებაში, მან უშუალოდ დაგეგმა ჩემი შეხვედრები მათთან. გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით მას და ასევე ყველა იმ ადამიანს ვინც ოდნავი წვლილი მაინც შეიტანა ჩემი მოკრძალებული ნაშრომის შექმნაში.